პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სპორტი

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

6 ნოემბერი, ხუთშაბათი № 214 (2375) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

იაპონიასა და ჩინეთში

როგორც ცნობილია, ამ დღეებში საზღვარგარეთ იმყოფებოდა სსრ კავშირის მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი, რომლის შემადგენლობაში თბილისელი ირმა ყიფშიძეც გამოდიოდა. ნაკრებმა ჯერ იაპონიაში მსოფლიო თასის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა, შემდეგ კი ჩინეთში საჩვენებელი გამოსვლები გამართა.

მსოფლიო თასის გათამაშების ჯგუფურ ვარჯიშში, სადაც ქართველი ტანმოვარჯიშე გამოდიოდა, საბჭოთა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

* * *

შეჯიბრებიდან დაბრუნების შემდეგ ირმა ყიფშიძე და მისი მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ნელი სალაძე საქართველოს სპორტსახკომში მიიწვიეს. სპორტსახკომის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას



აღინიშნა, რომ ირმა ყიფშიძე პერსპექტიული, ნიჭიერი სპორტსმენია და, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ტანმოვარჯიშე, მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება.

პერსპექტიულ ფეხბურთელთა შესარჩევად

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დაიწყო პერსპექტიულ ფეხბურთელთა რაიონული შესარჩევი ტურნირი.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ აღმოსავლეთ საქართველოს ჯგუფის ნაკრებსა და II ლიგის ოსტატთა გუნდებიდან დაკომპლექტებული კოლექტივი. იგი დამთავრდა აღმოსავლეთ ჯგუფის ნაკრების გამარჯვებით — 2:0.

დასავლეთ საქართველოს ჯგუფისა და ჭაბუკთა ნაკრები გუნდების შეხვედრა მოიგო დასავლეთ საქართველოს ნაკრებმა — 4:1.

7 ნოემბერს გაიმართება დასკვნითი შეხვედრები. თამაშების დასაწყისი 13 საათსა და 30 წუთიდან.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში

მათგან კვლავ ნარმატებას მოელიან

გუშინ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში გაიმართა მოსწავლეთა XVIII საკავშირო სპარტაკიადისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების ხელმძღვანელობის შტაბის მორიგი სხდომა. განიხილეს კლასიკურ ჭიდაობაში და წყალში ტომაში საქართველოს ნორჩ სპორტსმენთა მზადების საკითხი.

სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ, როგორც კლასიკური სტილის მოჭიდაველებმა, ისე წყალში მხტომელებმა, მათმა მწვრთნელებმა, კვლავაც ყველაფერი უნდა გააკეთონ და თავდადებით იბრძოლონ, რათა ხელიდან არ გაუშვან ბოლო სპარტაკიადაში მოპოვებული პოზიციები. ორივე ნაკრებს, — ითქვა სხდომაზე, შესანიშნავი პირობები შეუქმნეს ვარჯიშისა და სწავლის ურთიერთშეხამებისათვის, დაგეგმილია საწვრთნელი შეკრებების, საკონტროლო და ოფიციალური შეჯიბრებების ციკლი, გუნდებს დიდ დახმარებას უწევს საშეფო ორგანიზაციები, ყველა საკითხი წყდება ოპერატიულად.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ გ. თალაკვაძემ. შტაბის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელი და შესაბამისი სამმართველოების პასუხისმგებელი მუშაკები.

ელეპა-ინფორმაცია

„გურია“ — „ყუბანი“

გუშინ კრასნოდარში შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მატჩი ადგილობრივ „ყუბანსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შორის.

ანგარიშით 2:1 (0:0) გაიმარჯვეს ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა. გოლები გაიტანეს კოპალეიშვილმა (55), გერასიმოვმა (70) და ჩხაიძემ (75).

* * *

ეს ცნობა ფერგანიდან მივიღეთ: აქ გაიმართა სსრ კავშირის თასის გათამაშება კრივში სპორტხაზოგადოებებსა და უწყებებს შორის. კარგად იასპარეზა სსრ კავშირის იუნაოორთა პირველობის ფინალისტმა (1986 წ.) ბეხო ლურჯიამ (71 კგ. „ბურევესტნიკი“, თბილისი; მწვრთნელი — გიორგი შახხუვარიანი), რომელმაც II ადგილი დაიკავა და ვერცხლის medლით დაჯილდოვდა.

განიარაღებისთვის მოქმედების კვირეულს მიეძღვნა

შინაარსიანი კვირა დღე

გორელმა ფიზკულტურელებმა შინაარსიანად გაატარეს გასული კვირა დღე. ეკონომიკური ინსტიტუტის, ბამბეულის საწარმოო გაერთიანების სპორტკლუბ „დილასთან“ არსებულ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის, ბავშვთა საფეხბურთო სკოლის, ანალიზხელსაწყოს, ავტოსაწარმოო გაერთიანებისა და სამედიცინო სასწავლებლის ფიზკულტურელებმა განიარაღებისათვის მოქმედების კვირეულს მიუძღვნეს თავიანთი შიდაკოლექტივო პირველობები.

ქალაქის სპორტული ძალების თავისებური შემოწმება იყო ამ კოლექტივებს შორის ჩატარებული ამხანაგური შეხვედრები ძიუდოში, თავისუფალ ჭიდაობაში, ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, სმძიმეების აწევაში, ქალთა ფეხბურთში, ჭადრაკში, შაშში. ამ დღეს გორელებს სტუმრად ეწვივნენ ცხინვალელი მოკრივეები და ჩვენი ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ ორგანიზებული ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელთა სემინარის („სპორტი მშვიდობის სამსახურში“) მონაწილე 16 ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც ინტერესით დათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი, ქალაქის სპორტული ბაზები, შემდეგ კი გორის რაიონის სოფელ შინდისში დაესწრნენ შეჯიბრებას ქართულ ჭიდაობაში.

ბიბი ხაჩიძე,
გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.

ძიუდოისტთა პირველი აბსოლუტური ჩემპიონატი

დეფიციტური ზონა და თანაბარი შანსები

ამ დღეებში მოსკოვში ჩატარდა ძიუდოისტთა პირველი აბსოლუტური ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით ასპარეზეს ქართველმა ფალავნებმა. ალკაკი კიბორძალიძემ ოქროს medალი მოიპოვა, ავთანდილ გუბელაძემ კი ბრინჯაოს medალი დაიპაკუთრა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების უფროს მწვრთნელს დილარ ხაბულიანს.

● რა მიზანს ისახავს ეს ტურნირი, რომელიც, როგორც შევიტყვეთ, ამიერიდან სისტემატურად ჩატარდება?

— აბსოლუტურ პირველობას იაპონიაში დიდი ხანია ატარებენ. ეს იაპონელთა ერთიანი: რაც შეიძლება მეტი პერსპექტიული მოჭიდავის გამოვლენა ყველაზე დეფიციტურ, ძმიმე წონაში.

● როგორც ჩანს, ეს პრობლემა ჩვენი ნაკრების წინაშეც დგას?

— დიახ, საბჭოთა კავშირის ნაკრებს ყველაზე მეტად ძმიმე წონაში უჭირს.

● მოსკოვში არ გამოსულან გრიგორი ვერიჩევი და ჰაბილ ბიბოთაშვილი. ისინი ნაკრების სხვა წევრებთან ერთად იაპონიაში იმყოფებოდნენ. ხომ არ ამცირებს ეს კიბორძალიძისა და გუბელაძის წარმატებას?

— ვერიჩევისა და ბიქთაშვილის მონაწილეობა ამ ტურნირის დირსებას ერთი-ორად გაზრდიდა, მაგრამ იმის მტკიცება, რომ შეჯიბრებას უსათუოდ ისინი მოიგებდნენ, არ შეიძლება.

● მაგრამ რაკი იაპონიაში გაგზავნეს, ნაკრების მწვრთნელები, როგორც ჩანს, უპირატესობას სწორედ მათ ანიჭებენ.

— მთლად ასე არ არის. ვერიჩევისა და ბიქთაშვილის მონაწილეობა იაპონიის ტურნირში წლის დასაწყისში იყო დაგეგმილი. საერთოდ საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთა ინდივიდუალური გეგმა წინა სეზონის შედეგების მიხედვით დგება. საერთაშორისო შეჯიბრებაში მათ გამოსვლასაც მაშინ გეგმავენ.

● ეს გასაგებია, მაგრამ თქვენი, როგორც მწვრთნელის აზრით, როგორ წარიმართებოდა კიბორძალიძის შეხვედრა იმავე ვერიჩევთან ან ბიქთაშვილთან?

— ცოტა უცნაური შეკითხვაა, მაგრამ შევეცდები გიპასუხოთ. ფინალში გახსოვთ ალბათ, კიბორძალიძემ შუროვი დაამარცხა, თანაც საკმაოდ დიდი უპირატესობით. შუროვი, ვერიჩევთან ერთად წლეულს ევროპის პირველობაზე იყო. ვერიჩევმა იქ მესამე ადგილი დაიკავა, შუროვი კი საკმაოდ აღარ გამოსულა. ესე იგი, აბსოლუტური პირველობის ფინალში კიბორძალიძეს ჩვენი ნაკრების № 2 მოჭიდავე დაუმარცხებია. ბიქთაშვილი და კიბორძალიძე მაისში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს. კიბორძალიძემ ეს ორთაბრძოლა წმინდად მოიგო. შედარებისთვის კიდევ ერთ ფაქტს გავიხსენებ. მარშან, საკავშირო ჩემპიონატის ფინალში, შუროვმა პირწმინდად დაამარცხა ვერიჩევი და ოქროს medალი მოიპოვა. როგორც ხედავთ, ამ მოჭიდავეთა შანსები დაახლოებით თანაბარია.

● მაშ რატომ ვამბობთ, რომ ვერიჩევი დღესდღეობით ნომერი პირველი მოჭიდავეა?

— ოცდაათი წლის ვერიჩევს, ცხადია, დიდი გამოცდილება აქვს. შუროვი და ბიქთაშვილი მასზე ერთი წლით უმცროსები არიან. ესე იგი გამოცდილება მათაც ჰყოფნით, მაგრამ თუ პერსპექტივებზე ვილაპარაკებთ, პირველ რიგში, ცხადია, კიბორძალიძე და გუბელაძე უნდა ვახსენოთ, ვინაიდან პირველი 23 წლისაა, მეორე კი მხოლოდ ოცდაერთის.

● გასაგებია. როგორც ჩანს, ვერიჩევი და ბიქთაშვილი ამიტომაც წაიყვანეს იაპონიაში.

— თქვენ რატომღაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ იაპონიაში მათ გამგზავრებას. ცნობისათვის მინდა გითხრათ, რომ ეს ისეთივე რანგის შეჯიბრებაა, როგორც თბილისის საერთაშორისო ტურნირი, არც მეტი, არც ნაკლები. თან შეგახსენებთ, რომ იმავე ტურნირში ორი წლის წინ კიბორძალიძემ აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მო-

იხ. მე-2 გვ.

ინფორმაცია

კარლსკუგა (შვეცია). აქ გაიმართა წყალში მხტომელთა ტრადიციული საერთაშორისო ასპარეზობა „ნობელის თასზე“. ტრამპლინიდან ხტომაში ქალთა შორის გამარჯვება 18 წლის ჭდანოველმა ოქსანა ბარნევამ მოიპოვა. ვაჟთა შორის პირველი ადგილი ოლიმპიურმა ჩემპიონმა გრეგ ლუგანისმა (აშშ) დაიკავა. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრების პროცესში მან ექვსი უმაღლესი შეფასება (ათიანი) მიიღო და საბოლოო ჯამში ქულათა „დიდოსტატური ჯამი“ — 715,65 დააგროვა.

დარლინგტონი (ინგლისი). აშშ-ს მოცურავეებმა გაიმარჯვეს ტრადიციულ სამატჩო შეხვედრაში, რომელშიც მათ გარდა დიდი ბრიტანეთისა და ევროპის ნაკრები გუნდები მონაწილეობდნენ. პირად ასპარეზობაში თავი გამოიჩინა ჰოლანდიელმა მოცურავე ქალმა კონი ვან ბენტუმმა, რომელმაც გაიმარჯვა 50, 100 და 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და 100 მეტრზე ბატერფლაიში.

დასავლეთ ბერლინი. ადგილობრივმა კლუბმა „შპანდაუმ“ წყალბურთელთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის პირველ ნახევარფინალში იუგოსლავიის „კოტორი“ დაამარცხა — 7:2.

ექვსი კალათბურთელით

მოსკოვი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებითი შეხვედრა უნგრეთის კლუბ „ბიაასთან“ ადგილობრივმა ცსკა-მ თავის მოედანზე წააგო — 83:84 (49:40). მაგრამ მეოთხედფინალში მაინც გავიდა, ვინაიდან ორი მატჩის ჯამში უკეთესი მაჩვენებელი ჰქონდა.

არძიელები ამჯერად მხოლოდ ექვსი კაცის შემადგენლობით თამაშობდნენ (გუნდის ლიდერები, როგორც ცნობილია, აშშ-ში ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად იმყოფებიან) და მატჩის ბედიც ცხადია, ამან გადაწყვიტა. და მაინც, პირველი ტაიმი ცსკა-მ მოიგო. ისინი მეორე ნახევარშიც წინ იყვნენ, მაგრამ სტუმრებმა ბრძოლის მიწურულს გაათანაბრეს მდგომარეობა და შემდეგ ერთი ზუსტი საჯარიმო სროლის წყალობით დაწინაურდნენ კიდეც.

ამ შეხვედრაში სრაიპერული სროლებით თავი გამოიჩინეს გუსევმა (სსრ კავშირი) და ჰაისიმ (უნგრეთი). პირველმა თავის კოლექტივს 19 ქულა შესძინა, მეორემ — 26.

გაიმარჯვეს medიკოსებმა

ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პირველობა ჭადრაკში. 11,5 ქულით გამარჯვება მოიპოვა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კოლექტივმა (დავით ლობჟანიძე, იოსებ ელიგულაშვილი, ირაკლი ჩაჩუა, ირმა აბზიანიძე), II ადგილზე გავიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი — 11 ქ. მესამე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნაკრები — 9,5.

როგორც ვიუწყებოდით, ამ დღეებში დამთავრდა საკავშირო გათამაშება „იმედის თასზე“ ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. ეს საპატიო ჯილდო საქართველოს ნაკრებმა მოიპოვა.

ამ სურათზე, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ჯემალ კასრაძემ გადაიღო, გამარჯვებული გუნდია აღბეჭდილი.

იხ. მე-3 გვ.

დეფიციტური წონა და თანაბარი შანსები

დასასრული

იპოვა, ვერიჩევმა კი წლეულს მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა.

● საკმარისია, დამარწმუნეთ. როგორც ჩანს, ვერიჩევი და სხვა ვეტერანები დიდ სარბიელზე სწორედ ჩვენმა ბიჭებმა უნდა შეცვალონ.

— წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში ვერიჩევ — კიბორძალიძის ორთაბრძოლას დიდხანს არჩევდნენ ვიდეოფირზე, ისეთ ეჭვს იწვევდა ჩვენი მოჭიდავის დამარცხება. დიახ, თუკი ვინმე შეცვლის ვეტერანებს, პირველ რიგში კიბორძალიძე.

● რას უსურვებდით მას, როგორც მოჭიდავეს?

— პირველ ყოვლისა, მე მინდა გავიმეორო კიბორძალიძის მწვრთნელის ომარ მერაბიშვილის სიტყვები: „აკაკიმ თავის თავზე მეტი უნდა იმუშაოს“. დიახ, როგორი მონდომებულიც უნდა იყოს მწვრთნელი, ვერაფერს გახდება, თუ სპორტსმენმა თვითონ არ იმუშავა თავის თავზე. კიბორძალიძეს სწორედ ასეთი მუშაობა სჭირდება.

● ეს არც ისე პატარა ნაკლია.

— რა თქმა უნდა. გიორგი თენაძე ამ მხრივ იდეალურ სპორტსმენად მიმაჩნია. მან თავისი კარიერა შრომით შექმნა. დარბაზიდან ყველაზე გვიან მიდის, ვარჯიშს ყველაზე ბოლოს ამთავრებს, მწვრთნელის ყველა მითითებას ზუსტად ასრულებს და თავის თავზეც ბევრს მუშაობს. სწორედ ამტომაც არის იგი ნაკრებში პირველ ნომრად შეყვანილი. კიბორძალიძე რომ ასეთი მუყაითი იყოს... სხვა მხრივ ამოუწურავი შესაძლებლობების მქონე სპორტსმენია. ვერიჩევის ადგილი ნაკრებში სწორედ მან უნდა დიკავოს.

● ორიოდე სიტყვა ავთანდილ გუბელაძეზეც გვითხარით.

— მძიმე წონის მოჭიდავე ოცდაერთი წლის ასაკში დიდ წარმატებას იშვიათად აღწევს. არადა, ავთანდილი უკვე სპარტაკიადის ჩემპიონია, მოგებული აქვს რამდენიმე ავტორიტეტული შეჯიბრება. როცა ვეტერანები სარბიელს დატოვებენ, ერთ-ერთ ადგილს ნაკრებში უსათუოდ გუბელაძე დაიკავებს.

● თუ არ ვცდებით, აბსოლუტურ ჩემპიონატში კიდევ ერთი ქართველი ვალერი პარუნაშვილი გამოდიოდა. ამ სპორტსმენზე რაღას იტყვით?

— 18 წლის პარუნაშვილი ტურნირში საკავშირო სპორტსაბჭომა დაუშვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ყმაწვილზე გარკვეულ იმედებს ამყარებენ. მეც მჯერა მისი.

● კიდევ ერთი შეკითხვა: რატომ არ გამოდიოდა ამ ტურნირში მალხაზ ბერუაშვილი?

— ბერუაშვილიც, სხვათა შორიც, კარგი მონაცემების მქონე სპორტსმენია. წლეულს მან ვერიჩევი ჯერ თბილისის საერთაშორისო ტურნირის ფინალში დაამარცხა, მერე კისლოვოდსკში ნაკრების შეკრებაზეც მოუგო. ბერუაშვილი ემზადებოდა აბსოლუტური ჩემპიონატისთვის, მაგრამ დაშავდა. ახლახან მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მოსკოვში ამიტომ ვერ გამოვიდა. აქვე ვიტყვი, რომ თავის თავზე მალხაზმაც მეტი უნდა იმუშაოს.

„ლელოს“ რეგიონალურ-რესპუბლიკური შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელიც მიზნად ისახავს მასობრივ შეჯიბრებებში მოზარდების ჩაბმას და მათგან ნიჭიერთა გამოვლენა-შერჩევას, როგორც სარედაქციო ფოსტა მოწმობს, მთელს რესპუბლიკაში აქტიურად მიმდინარეობს. ამ დღეებში შეჯიბრებებში I, II და III ადგილებზე გასული მოსწავლეების აწკეტები გამოგვიგზავნეს გარდაბნის, შუახევის, ჩოხატაურის, მახარაძის, ქუთაისის, წითელწყაროს, ცხაკაიას, ტყიბულის (საწირი), გეგეჭკორის, რუსთავის, მარნეულის (თამარისი), თელავის (ნაფარეული), სამტრედიის (ნაბაკევი), მახარაძის (ქანიეთი) სკოლებმა.

ღონისძიებების ორგანიზაცია-ჩატარებაში სკოლებს დიდ დახმარებას უწევენ კომკავშირის რაიონული კომიტეტები.

სურათზე: სარბიელზე არიან რუსთავის მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლეები.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე

ჯილდო ერგებოდა ბიბლიოთეკარ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ ბავშვთა და მოზარდთა სატანვარჯიშო კომპლექსში გაიმართა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკური ტურნირი საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. საპატიო ჯილდოს მოსაპოვებლად იბრძოდნენ თბილისის ორი, სოხუმის, ბათუმისა და რუსთავის ნაკრები გუნდები.

გუნდურ ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისის პირველმა ნაკრებმა გაიმარჯვა (268,25 ქულა). მეორე ადგილზე გავიდნენ რუსთაველები (258,8), მესამეზე — თბილისის მეორე გუნდის წევრები (257,65).

პირად ჩათვლაში, უფროსი ასაკის გოგონათა ასპარეზობაში, დამაჯერებლად გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრმა თბილისელმა თ. ნადირაშვილმა. მეორე და მესამე ადგილებზეც მისი თანაგუნდელები ყიფიანი და ჩაპლიგინა გავიდნენ.

უმცროსი ასაკის გოგონათა პაექრობაში ყველას რუსთაველმა ე. კოზმოვამ აჯობა. მეორე იყო მისი თანაქალაქელი ო. ულერშპერგერი, მესამე ადგილი თბილისელმა ე. ცხადაძემ დიკავა.

ლევან ᲥᲐᲕᲫᲐᲠᲐᲫᲔ,
„ლელოს“ საკ. კორ.

ბათუმი.

პირველი ლიგის მიღმა

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ სასახლეში დამთავრდა ფრენბურთელ ქალთა პირველი ლიგის საკავშირო პირველობის შესარჩევი ტურნირი ფრენბურთში. შეჯიბრების ბოლო დღეს ნოვოსიბირსკის „კიროვეცი“, რომელსაც უკვე განაღდებული ჰქონდა ადგილი პირველ ლიგაში, ივანოვოს „ბურევესტნიკს“ შეხვდა. პირველი პარტია ივანოვოელებმა მოიგეს (15:12), მაგრამ შემდეგ ნოვოსიბირსკელებმა ჩაიგდეს ხელთ ინიციატივა, ზედიზედ სამ პარტიაში სძლიეს მეტოქეს (15:11, 15:13, 15:10) და საბოლოოდაც მათ გაიმარჯვეს — 3:1.

ამის მერე სარბიელზე გამოვიდნენ თბილისელი და ალმაათელი ფრენბურთელები. იმისთვის, რომ მეორე ადგილზე გასულიყვნენ, ჩვენს გოგონებს ეს შეხვედრა სამ პარტიაში უნდა მოეგოთ. მატჩის პირველი პარტია ძალზე საინტერესოდ, უაღრესად დაძაბულად წარიმართა. ალმაათელებმა ანგარიშით 18:16 შეძლეს მისი მოგება. მასპინძლებმა დათმეს მეორე პარტიაც (12:15) და ფარხმალი დაყარეს, მესამე პარტია ანგარიშით 4:15 წააგეს და საბოლოოდ დამარცხდნენ — 0:3.

პირველ ლიგაში ნოვოსიბირსკის „კიროვეცთან“ ერთად ითამაშებს ალმა-ათის ადგ. ჩვენი ფრენბურთელები პირველი ლიგის მიღმა დარჩნენ.

ᲪᲮᲠᲘᲚᲘ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲘᲕᲡᲝ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ვიუწყებოდით, ფრუნზეში დამთავრდა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 46-ე ჩემპიონატი. გთავაზობთ ბოლო ტურისა და გადადებული პარტიების შედეგებს. XVII ᲢᲣᲠᲘ: უსკოვა — ლაგვილავა 1:0, რუჩიევა — არახამია 0,5:0,5, პრუდნიკოვა — სახატოვა 0:1, ოოსელიანი — ლევატინა 0,5:0,5, სემიონოვა — ლელჩუკი 0,5:0,5, ბაგინსკაიტე — გურიელი 0:1, ეპშტეინი — ზაიცევა 1:0.

გადადებული პარტიების დამთავრება: ვორონოვა — ეპშტეინი 0,5:0,5 (XVI ტური), მატვეევა — ვორონოვა 0,5:0,5 (XVII ᲢᲣᲠᲘ).

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝᲓ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲓᲐ: I. ნანა ოოსელიანი — 11,5 ქულა, II-III. ქეთევან არახამია (ორივე — თბილისი), ირინა ლევიტინა (ლენინგრადი) — 10-10, IV-V. სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე), ზოია ლელჩუკი (ლვოვი) — 9,5-9,5, VI-VII. ნინო გურიელი (თბილისი), გულნარა სახატოვა (ალმა-ათა) — 9-9, VIII. ლიუდმილა ზაიცევა (მოსკოვის ოლქი) — 8,5, IX-X. კამილე ბაგინსკაიტე (ვილნიუსი), ტატიანა ვორონოვა (რიგა), ესფირ ეპშტეინი (კლაიპედა) — 7,5-7,5, XII-XV. ფლორა უსკოვა (ალმა-ათა), ნატალია რუჩიევა (სევასტოპოლი), ლარისა მუჩნიკი (ნიკოლაევი) — 7-7, XVI. სვეტლანა პრუდნიკოვა (ბალაკოვო) — 5,5, XVII. ჰენრიეტა ლაგვილავა (ქუთაისი) — 8.

ᲔᲠᲗᲘ ᲢᲣᲠᲘᲗ ᲐᲓᲠᲔ

ᲢᲘᲚᲒᲣᲠᲒᲘᲡ (ჰოლანდია) დიდი საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე დწინაურდა ლვოველი დიდოსტატი ალექსანდრე ბელიავსკი — 8 ქულა, ლიუბომირ ლიუბოევიჩის (იუგოსლავია) 6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს. მესამე ადგილზეა ანატოლი კარპოვი — 6,5 (1).

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ

რესპუბლიკაში ფიგურული ციგურაობის, დანერგვა-განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისა, სპორტში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საცეგურაო სპორტული სკოლის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი **ნოდარ ლევანის ძე ნათაძე დაჯილდოვდა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელით.**

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲙᲐᲒᲐᲜᲚᲨᲘ (უზბეკეთი) გაიმართა 1971-1973 წ.წ. დაბადებულთა საკავშირო პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში („დრუჟბა“). უძლიერესის სახელისთვის 9 ქალაქის 160-ზე მეტი სპორტსმენი იბრძოდა. დებულების თანახმად ყოველ გუნდს ჩათვლას 18 მოჭიდავე აძლევდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წარმატებას შემთხვევით ვერც ერთი კოლექტივი ვერ მიაღწევდა.

ასეთ რთულ სატურნირო პირობებში ბრწყინვალე მომზადება გამოავლინეს თბილისის სპორტკომიტეტის ოლიმპიური რეზერვების სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა და იმ მწვრთნელებმა, რომლებიც ჩვენს გუნდს ამ შეჯიბრებისთვის ამზადებდნენ (ვ. ხარაზოვი, ვ. ციხითათრიშვილი, თ. კიკნაძე, ა. აფრიადაშვილი). ქართველმა „კლასიკოსებმა“ დამსახურებულად დიკავეს პირველი ადგილი და საპატიო თასიც დიაკავეს.

პირად ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვეს: გ. შუშაშვილმა (35 კგ), ნ. პაატაშვილმა (38 კგ), ჯ. დუნდუამ (44 კგ), ზ. ოქრომჭედლიშვილმა (47 კგ), ხ. დემურაძემ (66 კგ), ვ. თათრულაიძემ (71 კგ), ჯ. ქვრივიშვილმა (87 კგ) და გ. სიხაშვილმა (მძიმე).

ქებით უნდა მოვიხსენიოთ ის მოჭიდავეებიც, რომლებიც II და III საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: გ. ბუაჩიძე, რ. გობოზოვი, გ. ვაჩაძე, დ. გრიგოლაშვილი, ბ. როსტოშვილი (ყველა — II პრიზიორი), პ. შუხაშვილი და ი. მაბარობლიძე (მესამე პრიზიორები).

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გუნდს ჩათვლას 18 მოჭიდავე აძლევდა. აი, საქართველოს „კლასიკოსთაგან“ კი, როგორც ხედავთ, თხუთმეტი საპრიზო ადგილზე გავიდა. ეს დიდი წარმატებაა.

ᲗᲐᲕᲡ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲔᲜ

თბილისში დამთავრდა მოსწავლე სამბისტთა (1971-1972 წწ დაბადებულნი) პირადი პირველობა. შეჯიბრებისადმი ინტერესი განაპირობა იმან, რომ სამბო მოსწავლეთა XVIII სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი, საქართველოს მოჭიდავეები კი მუდამ ლიდერთა რიგებში იყვნენ.

ასპარეზობამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ ჭიდაობის ამ სახეობაში ჩვენ არც ისე ურიგო მდგომარეობა გვაქვს. ნორჩ სამბისტთა მომზადებას ჯეროვან ყურადღებას აქცევენ აფხაზეთში (მწვრთნელი — ვ. კუვიჩკო), ფოთში (მწვრთნელი — ზ. ტუღუში), ქუთაისში (მწვრთნელი — გ. სარდანაძე), თელავში (მწვრთნელები — გ. ფოთოლაშვილი და ფ. ჩიტაშვილი). ტრადიციულად ძლიერი მოჭიდავეები გამოიყვანა თბილისმაც.

ტურნირში მონაწილეობდა რესპუბლიკის 18 ქალაქისა და რაიონის 200-ზე მეტი მოსწავლე. ასეთი წარმომადგენლობა მოზრდილთა ზოგიერთ ტურნირსაც კი შეშურდებოდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. კურდღელაშვილი (საგარეჯოს № 3 სკოლა), ვ. მაზიაშვილი (გორის № 6 სკოლა), გ. თურქია (ფოთის № 9 სკოლა), კ. ხუბუტია (ფოთის № 11 სკოლა), დ. ბაისონაშვილი (კასპის № 1 სკოლა), ბ. ქურასპედიანი (ლენტეხის № 1 სკოლა), მ. სუკასიანი (თბილისის № 175 სკოლა), ა. აკოფიანი (ზემო ეშერას საშუალო სკოლა), ა. ლეონიძე (კასპის რაიონის სოფელ სირილის საშუალო სკოლა), ა. თანდიაშვილი (თბილისის № 159 სკოლა), ფ. ყავალაშვილი (რუსთავის № 22 სკოლა), გ. ხაჭვანი (სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა), დ. რობაქიძე (თბილისის № 87 სკოლა), ვ. ჭიაბრიშვილი (თბილისის № 148 სკოლა), ნ. ავალიანი (რუსთავის № 17 სკოლა), გ. თაკვარელია (თბილისის № 20 სკოლა).

ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲐᲠᲐᲑᲣᲚᲘ,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ᲑᲔᲘᲡᲑᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ოლიმპიური კომიტეტის ლოზანის სესიაზე ბეისბოლი ოლიმპიურ სახეობად გამოცხადდა. იგი 1992 წლის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეიტანეს.

ბეისბოლის ასეთი აღიარება ექვსი ობიექტური მიზეზითაა განპირობებული. ეს მიზეზები ბეისბოლის ფედერაციამ წერილობითი სახით წარუდგინა სესიას.

1. ბეისბოლი უპასუხებს ოლიმპიური ქარტიის ყველა მოთხოვნას.

2. შეჯიბრებები დიდ საერთაშორისო დონეზე ტარდება და მასში 15-დან 50 წლის ასაკამდე სპორტსმენები მონაწილეობენ.

3. თამაშს არ სჭირდება ძვირადღირებული ინვენტარი და აღჭურვილობა.

4. წესები სტანდარტულად და მკაფიოდაა ჩამოყალიბებული. მსაჯის სუბიექტური შეხედულება ან მოსაზრება თამაშზე გავლენას ვერ მოახდენს.

6. ბეისბოლს სხვადასხვა კონტინენტის 60-ზე მეტ ქვეყანაში თამაშობენ.

არის კიდევ რამდენიმე მიზეზი, რომლის შესახებაც სესიის მონაწილეებმა დამატებითი ინფორმაცია მიიღეს. ამ მიზეზთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია ის, რომ 16 ქვეყანაში ეს თამაში სპორტის ყველაზე მასობრივ და პოპულარულ სახეობად ითვლება, ექვსი ქვეყანა კი მას ეროვნულ სპორტად მიიჩნევს. ამერიკის კონტინენტზე ბეისბოლს 27 ქვეყნის 20 მილიონზე მეტი სპორტსმენი თამაშობს. ამ სახელმწიფოებში პოპულარობით სარგებლობს ბეისბოლის გაიოლებული ვარიანტი ქალებისთვის და იუნიორებისთვის, როშელსაც სოფტბოლს უწოდებენ. სოფტბოლი ჩრდილო, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის 28 ქვეყანაშია დანერგილი და ქალთა შორის სპორტის ერთ-ერთ ყველაზე მასობრივ სახეობად ითვლება.

ბეისბოლს თავისი სტატისტიკოსები ჰყავს, რომლებსაც ამ თამაშთან დაკავშირებული ყველა წვრილმანი აქვთ აღნუსხული. მათი მონაცემების თანახმად მსოფლიო ჩემპიონატში ყველაზე კარგი მაჩვენებელი კუბას აქვს. ამ ქვეყნის წარმომადგენლები 26 ტურნირში თექვსმეტჯერ გამარჯვებულთა შორის იყვნენ. ქალთა 6 მსოფლიო ჩემპიონატში აშშ-ს ბეისბოლისტებმა გამარჯვება სამჯერ მოიპოვეს.

ბეისბოლსა და სოფტბოლს აზიისა და ოკეანეთის 20 ქვეყანაშიც თამაშობენ. ამასთან ავსტრალიის, იაპონიისა და ახალი ზელანდიის გუნდებს თითო მსოფლიო ჩემპიონატი აქვთ მოგებული, სამხრეთ კორეის ვაჟთა გუნდი კი მსოფლიო ჩემპიონი 1982 წელს გახდა.

ბეისბოლი (სოფტბოლი) დინამიკური სპორტული თამაშია, მაგრამ ბევრ ქვეყანაში მას საერთო ფიზიკური განვითარებისათვისაც იყენებენ. ბეისბოლი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ევროპის საკლუბო ტურნირები

გუშინ გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების I წრის სპასუხო მატჩები.

კიევის დინამოელებმა ჩემპიონთა თასზე შინ მიიღეს გლაზგოს სელტიკი" (შოტლანდია). მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:1, კიეველები ევროპის ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში გავიდნენ. გთამაშების ამ ეტაპის მატჩები გაიმართება გაისად გაზაფხულზე.

„დნეპრის“ გამარჯვება

4 ნოემბერს კიშინიოვის რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის ფინალური მატჩი დნეპროპეტროვსკის „დნეპრსა“ და ლენინაკანის „ზენიტს“ შორის.

შეხვედრის პირველი ნახევარი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. შეორე ნახევრის შემდეგ დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა ძლიერად თამაშეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ლიტოვჩენკომ და ლიუტიმ.

ამრიგად, ფეხბურთის ფედერაციის თასის პირველი მფლობელი გახდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“.

I ლიგის საგზურებისთვის

4 ნოემბერს გაიმართა II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ზონებში გამარჯვებული გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები. კიროვაბადის „ქიაფაზმა“ ბაკუბიშვილის „ქრილია სოვეტოვი“ ფრედ დაამთავრეს თამაში — 0:0. ლიპეცკის „მეტალურგმა“ ანგარიშით 4:0 დაამარცხა ჩიმკენტის „მელიორატორი“, ხოლო სარატოვმა „სოკოლმა“ მოუგო ხალკაბადის „სოხიბკორს“ — 5:0.

ი. ჯინჭარაძის მემორიალი

ბათუმის, ქობულეთისა და მახარაძის სტადიონებზე დაიწყო საბჭოთა კავშირის გმირის ისრაფილ ჯინჭარაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ფეხბურთელთა (1969-1970 წლებში დაბადებულნი) XI საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ „პირინი“ (ბლაგოვეშჩენსკი, ბულგარეთი), „სმენა“ (მოსკოვი), „დინამო“ (ბათუმი), „ნორჩი სტადიონელი“ (ქუთაისი), „მერცხალი“ (მახარაძე) და ჭაბუკთა სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა (ბათუმი).

გთამაშების პირველ ტურში ბათუმის დინამოელებმა ანგარიშით 0:2 წაგეს მოსკოვის „სმენასთან“, ფრედ — 1:1 დამთავრდა მახარაძის „მერცხლისა“ და ქუთაისის „ნორჩი სტადიონელის“ შეხვედრა.

ოთარ მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„თასი“ — ფეხბურთელებს

თერჯოლაში ერთ თვეს გაგრძელდა რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გუნდებს შეჯიბრება ფეხბურთში „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თასზე.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფეხბურთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობისა და თერჯოლის სანეგერე საბჭოთა მეურნეობის გუნდები. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს რუსთველებმა. თასსაც ისინი დაეუფლნენ.

ვანო კუტალაძე,
ჩვენი კორ.

გთავაზობთ განვლილ შაბათ-კვირას ჩატარებული რესპუბლიკის საფეხბურთო პირველობის VIII ტურის შეხვედრათა სტატისტიკურ მონაცემებს.

I ლიგა

I-XII ადგილები

„მადნეული“ (ბოლნისი) — „სულორი“ (ვანი) 3:1. მსაჯი ლ. ჩიტაია (თბილისი). გოლები: სამხარაძე, ქობულაძე, ჯაგოვი („მადნეული“), ორმოცაძე („სულორი“).

„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი). გოლები: გოგოლაშვილი, გუჩუა-2 („ამირანი“), შშენეიერაძე („მეტალურგი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ოჩამჩირელი ფეხბურთელი გ. გოგოლაშვილი, ხოლო უხეში თამაშისთვის — მისი თანაკლუბელი ჯ. ქვანია.

გ. გოგოლაშვილმა არ იკმარა არბიტრთან კამათი და შეურაცხყოფა მიაყენა გვერდით მსაჯს. ცხადია, გ. გოგოლაშვილის მსგავსი პიროვნებანი არ უნდა ბოგინებდნენ ჩვენს ფეხბურთში.

„შადრევანი“ (წყალტუბო) — „არმაზი“ (მცხეთა) 4:1. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი). გოლები: გვაძაბია, ხარაბაძე, კერესელიძე-2 („შადრევანი“), სოლოლაშვილი („არმაზი“).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „კახეთი“ (თელავი) 4:0. მსაჯი გ. გაბესკირია (ხობუმი). გოლები: ხვიტია, ვ. თუთბერიძე, ტიბუა-2 („დინამო“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს თელაველი გ. ნონიკაშვილი.

„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „ივერია“ (ხაშური) 5:0. მსაჯი რ. ჩიქოვანი (გაგრა). გოლები: ქვილითაია, ქავთარაძე, ციმაკურიძე, ბენდელიანი, უბირია („სამეგრელო“).

„შევარდენი“-სპი (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 7:1. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი). გოლები: გოგიჩაიშვილი, მენთეშაშვილი, ქობულაშვილი, შალამბერიძე, ჯიმკარიანი-3 („შევარდენი“-სპი), ქავთარაძე („ეგრისი“).

(წალენჯიხა) 2:2. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი). გოლები: კირთაძე, ლობჟანიძე („იმედი“), აბრალავა, ზარქუა („სქური“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს „იმედის“ ფეხბურთელი გ. ლობჟანიძე.

„იმერეთი“ (ქუთაისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 1:1. მსაჯი ს. კვარაცხელია (ზუგდიდი). გოლები: არაბიძე („იმერეთი“), ანიაშვილი („ქართლი“).

საქართველოს პირველობა

XIII-XXIII ადგილები

„დურუჯი“ (ყვარელი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი თ. ხადილიანი (თბილისი). გოლები: ქურდაძე („დურუჯი“), ბართია („სალხინო“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ყვარელი დ. გასიევი და გეგეჭკორელი კ. ქუთათელაძე.

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 6:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი). გოლები: ლოლუაშვილი, სილაგაძე, ჩინჩალაძე, შარიქაძე, ფანჩულიძე-2 („საპოვნელა“), ჯიოევი („სპარტაკი“).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 5:2. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი). გოლები: სვიმონიშვილი, ხურცილავა, მებუკე, მანუჩაროვი-2 (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ტუღუში, კვაჭანტირაძე („მერცხალი“).

„იმედი“ (თბილისი) — „სქური“ (ზუგდიდი) 1:1. **„ზარზმა“ (ადიგენი) 1:1.**

დასავლეთი ზონა. „დვაბზუ“ (მახარაძე) — „ლილონი“ (გალი) 3:0, „ოდიში“ (ზუგდიდის რ-ნი) — „კოლხეთი“ (თბილისი) 1:1, „მერანი“ (ტყვარჩელი) — „ვაკინური“ (ბულეთი) 4:5, „სუბტროპიკი“ (სოხუმი) — „კოლმეურნე“ (გაგრა) 0:0, „ზანა“ (აბაშა) — „ჩიბათი“ (ლანჩხუთი) 2:1, „კოლხეთშშენი“ (ფოთი) — „ნარინჯი“ (გონიო) 4:1.

I ლიგა

გათამაშების ცხრილები

I-XII ადგილები

მდგომარეობა 6 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სამეგრ.“	18	11	4	3	33-15	26
„შევ.“-სპი	17	11	3	3	43-19	25
„შადრევანი“	17	11	1	5	34-21	23
„მეტალურ“	18	9	2	7	32-33	20
„სულორი“	18	9	1	8	35-27	19
„დინ.“ ზ.	18	8	3	7	39-24	19
„მადნეული“	18	7	4	7	40-34	18
„კახეთი“	18	6	2	10	24-36	14
„ამირანი“	18	6	2	10	22-35	14
„არმაზი“	18	5	4	9	30-39	14
„ეგრისი“	18	5	3	10	21-48	13
„ივერია“	18	3	3	12	13-35	9

XIII-XXIII ადგილები

„დინამო“ გ.	16	9	2	5	27-18	20
„მერცხალი“	17	8	4	5	23-16	20
„სალხინო“	17	7	5	5	25-17	19
„საპოვნელა“	16	8	2	6	27-21	18
„სპარტაკი“	16	8	2	6	27-30	18
ფიზკ. ინსტ.	16	6	4	6	22-22	16
„დურუჯი“	16	5	6	5	18-18	16
„სქური“	17	5	5	7	23-32	15
„ქართლი“	16	4	5	7	9-13	13
„იმერეთი“	17	4	5	8	17-22	13
„იმედი“	16	2	8	6	12-21	12

„იმედის თასი“ — მეოთხედ!

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა „იმედის თასი“! ჩვენი გაზეთი ოფიციალურად ზეიმობდა ცნობებს ნევინომისკიდან ამ საპატიო თასის გათამაშების ფინალური ტურნირის მსვლელობის შესახებ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა „იმედის თასი“ მეოთხედ ჩამოიტანეს შინ, გუნდის წევრებმა კი შეასრულეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი.

ვიდრე შემოგთავაზებდეთ ინტერვიუს საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელ ნიკოლოზ ამირეჯიბთან, გაგაცნობთ, ვინ შეიტანა წვლილი ამ დიდ გამარჯვებაში. თოთამაშეები: გ. მაკასარაშვილი („ნორჩი დინამოელი“, თბილისი), ი. ჯიოევი (ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა, ცხინვალი), კ. ნადარეიშვილი („დინამო“, თბილისი), მ. კალატოზიშვილი („ნორჩი დინამოელი“, თბილისი), ო. ოსიპოვი (35-ე სკოლა), ვ. იაკოვლევი („ტორპედო“, ქუთაისი), ზ. ნიკოლეიშვილი („ნორჩი დინამოელი“, თბილისი), კ. ხარჩილავა („მეტალურგი“, რუსთავი), გ. გაბისონია (ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლა, ოჩამჩირე), ა. ბეკოევი („დინამო“, თბილისი), ბ. თედეევი („დინამო“, თბილისი), რ. კერძევაძე (35-ე სკოლა), ზ. ბენდელიანი („ნორჩი დინამოელი“, თბილისი), ზ. ბერიაშვილი (ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა, თბილისი), მ. კობახიძე („ნორჩი დინამოელი“, თბილისი), ტ. მეტრეველი („მეტალურგი“, რუსთავი), გ. ლოლუა („ავაზა“, თბილისი), თ. გუჩუა („ამირანი“, ოჩამჩირე), ვ. ძმანაშვილი („განთიადი“, თბილისი); მწვრთნელები — გოჩა ანთაძე და ბორის გაბაევი, გუნდის უფროსი — ველოდი მინინოშვილი.

ახლა კი ინტერვიუ უფროს მწვრთნელთან.

● ფინალური ტურნირის მონაწილეთა შორის ვერ ვხედავთ მაუკა აფციაურს, რომელმაც ნახევარფინალურ ეტაპზე საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი დაიმსახურა...

— შეიძლება გაცვეთილ ფრაზას ვიმეორებდე, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: დღევანდელ ფეხბურთში მხოლოდ თანდაყოლილი ნიჭის იმედით სერიოზულ წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია. დღეს ბევრს წყვეტს მოთამაშის დამოკიდებულება ფეხბურთისადმი, მისი შრომისმოყვარეობა და გულმოდგინება, მე ვიტყოდი, ფეხბურთისათვის თავგანწირვისა და ერთგულების უნარი. აფციაურსა და კიდევ ერთ ნიჭიერ ახალგაზრდას, შალვა დავითაშვილს, სამწუხაროდ, ეს თვისებები არ აღმოაჩნდათ...

● როგორც ჩანს, ფინალური ტურნირისთვის მზადებისას სიძნელეებიც შეგხვდათ...

— რა თქმა უნდა! უამისოდ წარმოუდგენელია ნაკრები გუნდის შექმნა. სიძნელეები, ჯერ კიდევ ნაკრების დაკომპლექტებით იწყება. ხანდახან ხდება, რომ კლუბები ვერ უზრუნველყოფენ ნაკრებში მიწვეულ ფეხბურთელთა დროულად გათავისუფლებას, ნაკრების მწვრთნელებისთვის მათ გადაცემას. მაგალითად: ვერაფრით ვერ ვეღირსეთ სოხუმის „დინამოს“ წევრის კახა გეთიას ჩამოსვლას, თუმცა მას არაერთი მოწვევა გავუგზავნეთ. ნახევარფინალურ ტურნირში ვერ მიიღეს მონაწილეობა ვალერი იაკოვლევმა („ტორპედო“, ქუთაისი) და ზაზა თურმანიძემ (35-ე სკოლა). არსებობს სხვაგვარი სიძნელეებიც. მაგალითად, ნახევარფინალური ტურნირის წინ, როცა გუნდი შეკრებაზე იყო და დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით, მოთამაშეთა უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებს აბარებდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენი ნახევარფინალური ჯგუფი ძალიან ძლიერი იყო. აქ ჩვენს გარდა გამოდიოდა რუსეთის ფედერაციის ნაკრები, რომელმაც საბოლოო ანგარიშით მეორე ადგილი დაიკავა. გარდა ამისა, ფინალისტთა რიგებს მიღმა დარჩნენ უზბეკეთისა და ყაზახეთის ძლიერი გუნდები. რაც შეეხება ლიტვის ნაკრებს, ეს გუნდი ბევრ ფინალისტსაც კი დაჯაბნიდა.

ერთი სიტყვით, ნახევარფინალში ისეთ ძლიერ გუნდებს ვაჯობეთ, რომ ფინალისტებისა აღარ გვეშინოდა. ისე, ხუმრობა იქით იყოს და ნევინომისკში მართლაც იმედიანად გავემგზავრეთ. ფინალურ ტურნირამდე მახარაძეში 15-დღიანი შეკრება გავიარეთ. ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ ყველა პირობა შეგვიქმნა ნაყოფიერი მუშაობისათვის: სავარჯიშოდ გამოგვიყო ცენტრალური მინდორი თავისი საშხაპეებით, გვემსახურებოდა ავტობუსი, კარგად იყო ორგანიზებული კვების საქმე, გვქონდა სანიმუშო საცხოვრებელი პირობები. ჩავატარეთ რამდენიმე საწვრთნელი მატჩი მახარაძის „მერცხალთან“, ზესტაფონის „მეტალურგთან“, ზუგდიდის „დინამოსთან“. განსაკუთრებით სასარგებლო იყო შეხვედრები თბილისის „შევარდენთან“ და რუსთავის „მეტალურგთან“. ამ კოლექტივების მწვრთნელებთან მურთაზ ხურცილავასთან და შოთა ჭეიშვილთან საუბარი ჩემთვის მეტად სასარგებლო კონსულტაცია გახლდათ. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო თბილისს „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ნოდარ ახალკაცი, რომელმაც დიდი ხნით დაგვითმო რესპუბლიკის პირველი გუნდის მოთამაშეთა ჯგუფი. არადა, მე ხომ ვიცი, როგორი პრინციპული მატჩი ჰქონდა მას თუნდაც მოსკოვის „სპარტაკთან“. ჩვენი გუნდის წევრებს შეხვდა და ესაუბრა რესპუბლიკის სპორტსახკომის თავმჯდომარე ნუგზარ ენდელაძე. მან იმდენი გულისხმიერება გამოიჩინა, რომ დრო გამონახა და რუსთავის „მეტალურგთან“ გამართულ საკონტროლო შეხვედრებზეც კი დაგვესწრო. ეს ჩვენი ბიჭებისთვის, ცხადია, დიდი სტიმული იყო.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ამჯერად მაღალ დონეზე იდგა გუნდის სამედიცინო კონტროლი და მომსახურება. პირველად მოზარდებთან მუშაობის ისტორიაში, ორჯერ გავიარეთ რესპუბლიკური დისპანსერიზაცია. ამით დაზუსტდა ფეხბურთელთა ფუნქციონალური მდგომარეობა და მწვრთნელებს საშუალება მოგვეცა სწორად შეგვედგინა მათთან ინდივიდუალური მუშაობის პროგრამა.

როგორც ხედავთ, ჩვენი გუნდის წარმატებაში უამრავ ხალხს მიუძღვის წვლილი. მე დიდ მადლობას ვუხდი მათ!

● რომელი შეხვედრა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენი გუნდისთვის ფინალურ ეტაპზე?

— მატჩი მოსკოვის ნაკრებთან. შეიძლება ითქვას, ეს იყო ფინალი ფინალში! მოსკოვს ძლიერი გუნდი ჰყავდა, მის შემადგენლობაში საბჭოთა „კავშირის ნაკრების ხუთი-ექვსი მოთამაშე გამოდიოდა. ამ შეხვედრაში გამარჯვებამ საბოლოოდ დაგვარწმუნა, რომ შეგვეძლო თასის მოპოვება.

● რა ტაქტიკით თამაშობდა საქართველოს ნაკრები?

— ჩვენ ვცდილობდით შემტევი ფეხბურთი გვეთამაშა და ამიტომ მინდორზე ყოველთვის გვყავდა სამი თავდამსხმელი. საერთოდ, ყველა გუნდის ტაქტიკურ მონახაზს, თამაშის სტრატეგიას მისი წევრების შესაძლებლობები და თამაშის სტილი განსაზღვრავს. ჩვენ გუნდში ბევრი კარგი თავდამსხმელი და ნახევარმცველი გვყავდა. ერთერთმა მათგანმა — ბეკოევმა — საუკეთესო თავდამსხმელისთვის დაწესებული პრიზი მიიღო. შეტევის გაძლიერებაზე ზრუნვა გარკვეულ რისკთანაც იყო დაკავშირებული. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხუთ შეხვედრაში ჩვენს კარში ექვსი ბურთი გავიდა. რა თქმა უნდა, ეს ცოტა არ არის, მაგრამ მიზანს ხომ მივაღწიეთ?!

● ახლა რა ელის თქვენს გუნდს? მოთამაშეთა გზები ხომ გაიყოფა?

— არსებობს აზრი, რომ ასეთი გუნდები შევინარჩუნოთ ხოლმე სრული შემადგენლობით და მოვამზადოთ უფრო მაღალი მწვრთნელების დასალაშქრავად. სამწუხაროდ, ეს ჯერ არ ხერხდება. ჩვენს ნაკრებში იყვნენ ფეხბურთელები ოსტატთა გუნდებიდან და ისინი თავიანთ კლუბებს დაუბრუნდებიან. მაგრამ ამ ასაკის ფეხბურთელებიდან ყველა როდი ხვდება ოსტატთა გუნდში. იმ მოთამაშეებს, რომლებიც ჯერ არ მიუწვევიათ წამყვან კლუბებში, დაემატება ნიჭიერი ახალგაზრდობა. ასეთი ახალგაზრდები მრავლად არიან ჩვენს რესპუბლიკაში. მალე შეიქმნება ფეხბურთელთა სკოლა, სადაც მათ თავიანთი ნიჭის გამოსავლენად ყველა პირობა შეექმნებათ. ეს ჩვენს ფეხბურთს დიდ სამსახურს გაუწევს.

ესაუბრა ზურაბ ფოცხვერია.

რადიო-ტანვარჯიში ყველასათვის

• ჯანმრთელობა, უწინარეს ყოვლისა

ადგილზე სიარულის იმიტაციით და ადგილზე სიარული

ფეხები შეაერთეთ, წელში გაიმართეთ, თავი ასწიეთ. თვლაზე ერთი — მარცხენა ფეხი ოდნავ მოხარეთ მუხლში, ქუსლი ასწიეთ ზევით ცერის იატაკიდან მოუცილებლად; თვლაზე ორი იგივე მოძრაობა გაიმეორეთ მარჯვენა ფეხით. ვარჯიშის დროს ხელებით შეგიძლიათ დაეყრდნოთ მაგიდას ან სკამის საზურგეს. ვარჯიშის შესრულებისას წელში არ მოიხაროთ, თავი არ დახაროთ, ისუნთქეთ თავისუფლად (ვარჯიში გრძელდება 10-15 წამი).

გადადით ჩვეულებრივ სიარულზე. მუხლი ასწიეთ მაღლა, მკლავები ამოძრავეთ განივრად, ისუნთქეთ თავისუფლად, იარეთ 40-45 წმ. (I და VIII ვარჯიში სრულდება ნელ ტემპში, თითოეული ვარჯიში მეორდება 8-10 ან 10-12-ჯერ).

3-4 ვარჯიში — „ზემკლავი და მიმკლავი“

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, გაიმართეთ.

თვლაზე ერთი-ორი — მკლავები წინ გაიტანეთ, ასწიეთ ზევით, წელში ოდნავ გაიზიქეთ, თავი გადასწიეთ უკან, ერთდროულად აიწიეთ ფეხის ცერებზე და ჩაისუნთქეთ.

თვლაზე სამი-ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და ამოისუნთქეთ.

II ვარჯიში — მკლავების მოხრა და განზე გამართვა.

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, განმკლავი.

თვლაზე ერთი — თითები მოუჭეთ, მარცხენა მკლავი მოხარეთ მკერდის წინ, ისე, რომ იდაყვი მხრის დონეს გაუთანაბრდეს, ხოლო მარჯვენა ტანის უკან გაიტანეთ.

თვლაზე ორი — მკლავები გამართეთ განზე.

თვლაზე სამი-ოთხი — იგივე ვარჯიში შეასრულეთ მარჯვენა მკლავის ტანის წინ, ხოლო მარცხენის — ტანის უკან მოხრით.

მკლავების განზე გამართვისას ჩაისუნთქეთ, მოხრისას ამოისუნთქეთ.

III ვარჯიში — „ზეტანის ბრუნი, განმკლავი“.

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, წელში გაიმართეთ.

თვლაზე ერთი — მკლავები მოხარეთ და იდაყვები ტანზე მიიბჯინეთ, თითები ნახევრად მომუჭეთ.

თვლაზე ორი — ტანი მოაბრუნეთ მარცხნივ და მკლავები გამართეთ განზე ნებების ზევით ამოტრიალებით.

თვლაზე სამი — გასწორდით და მკლავები მოხარეთ წინ, იდაყვების ტანზე მიბჯენით.

თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ამის შემდეგ იგივე ვარჯიში შეასრულეთ ტანის მარჯვნივ შემობრუნებით.

მკლავების განზე გამართვისას ჩაისუნთქეთ, მოხრისას ამოისუნთქეთ.

IV ვარჯიში — ზნექი განზე

გადგით ფეხები მხრების სიგანეზე, გაიმართეთ, დოინჯი.

თვლაზე ერთი — ტანი დახარეთ მარცხნივ.

თვლაზე ორი — გაიმართეთ.

თვლაზე სამი — ტანი დახარეთ მარჯვნივ.

თვლაზე ოთხი — გაიმართეთ.

დახრისას ამოისუნთქეთ, გამართვისას — ჩაისუნთქეთ.

V ვარჯიში — ფეხის განზე აჭნევა

ფეხები ერთად, დოინჯი.

თვლაზე ერთი — მარცხენა ფეხი აიჭნიეთ განზე და ზევით.

თვლაზე ორი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

თვლაზე სამი — მარჯვენა ფეხი აიჭნიეთ განზე და ზევით.

თვლაზე ოთხი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

VI ვარჯიში — ნახევარბუქნი, განმკლავი

ფეხები ერთად, გაიმართეთ, დოინჯი.

თვლაზე ერთი — შეასრულეთ ნახევარბუქნი ზეტანის მარცხნივ შებრუნებით, ერთდროულად მკლავები გამართეთ განზე ნებების ზევით ამოტრიალებით.

თვლაზე ორი — დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ამის შემდეგ გააკეთეთ იგივე ვარჯიში ზეტანის მარჯვნივ შემობრუნებით.

მკლავების განზე გამართვისას ჩაისუნთქეთ, დოინჯის დროს — ამოისუნთქეთ.

VII ვარჯიში — ადგილზე სირბილი

ვისაც ადგილზე სირბილი ეძნელება, შეუძლია მის ნაცვლად რამდენიმეჯერ ჩაბუქნოს, ან ადგილზე იაროს.

ვარჯიშს დავიწყებთ ადგილზე სიარულით, შემდეგ გადავიდეთ სირბილზე.

სირბილის დროს მუხლი ასწიეთ მაღლა, მკლავები ნახევრად მოხარეთ და ამოძრავეთ თავისუფლად, არ დაიბაბოთ, ისუნთქეთ თავისუფლად.

სირბილი დაამთავრეთ, ისევ სიარული რამდენიმე წამის განმავლობაში.

ადგილზე სიარულის დროს რამდენიმეჯერ მკლავები ასწიეთ ზევით და ჩაისუნთქეთ, შემდეგ მკლავები დაუშვით და ამოისუნთქეთ.

VIII ვარჯიში — ნახევარბუქნი, ადგომა უკუმკლავით.

ფეხები ერთად, წელში გაიმართეთ, ზემკლავი. ვარჯიშის დროს მკლავები და მთელი ტანი მოდუნებულია.

თვლაზე ერთი — შეასრულეთ ნახევარბუქნი და წამოდექით, თან მკლავები დაუშვით და უკან გაიტანეთ.

თვლაზე ორი — ჩაბუქნეთ და წამოდექით, თან მკლავები დაუშვით და ისევ ასწიეთ ზევით.

გამარჯვება მეოთხე მატჩი

ლონ-ანჯელესი. ხოხოლოვა-ვაინერის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა, რომელიც ტურნეს ატარებს აშშ-ს ქალაქებში, ბოლოს და ბოლოს მიაღწია შეხვედრა. გუნდს შეუერთდა ორი კალათბურთელი — ხომიჩუსი (კაუნასის „ჟალგირისიდან“) და გრიმაევი (ლენინგრადის „სპარტაკიდან“).

მეორე მატჩი ჩვენმა ნაკრებმა „ფორუმში“ ისევ „ატლეტს ინ ეკშნთან“ ჩაატარა. პირველი წუთები მასპინძელთა უპირატესობით აღინიშნა, მერე თამაში გათანაბრდა და ტაიმი ფრედ დამთავრდა — 47:47. შესვენების შემდეგ ბრძოლა ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, მაგრამ ბრძოლის მიწურულში საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობა გამოიკვეთა, რომლებმაც მოიგეს კიდეც შეხვედრა — 104:95.

საბჭოთა კალათბურთელთაგან თავი გამოიჩინეს: მარჩულენისმა (23 ქულა) და ხომიჩუსმა (20).

ბუენოს-აირესი და ჰემილტონი

კალათბურთი სპორტის იმ სახეობათა რიცხვს განეკუთვნება, რომლის „დაბადების“ თარიღი საყოველთაოდ ცნობილია. უფრო მეტიც, სპორტულმა სამყარომ მისი გამომგონებლის გვარიც იცის. კალათბურთის შემქმნელია ამერიკელი პედაგოგი ჯეიმს ნეისმიტი, ხოლო პირველი ოფიციალური მატჩი ქალაქ სპრინგფილდის (აშშ) კოლეჯში 1891 წელს ჩატარდა.

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილი ჰქონდა სპრინგფილდში დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩაეტარებინა, რომელიც მერე ტრადიციულ შეჯიბრებად გადაიქცეოდა. ფედერაციამ თავისი პირვანდელი გადაწყვეტილება ნაწილობრივ შეცვალა. 1991 წელს ასეთი ტურნირი მართლაც ჩატარდება, ოღონდ სპრინგფილდში კი არა, კანადის ქალაქ ჰემილტონში, სადაც ჯეიმს ნეისმიტი დაიბადა.

ჰემილტონი არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესთან ერთად კენჭს იყრიდა კალათბურთელთა მსოფლიო 1990 წლის ჩემპიონატის მოწყობაზე. გამარჯვება ამ დავაში (ორი ხმის უპირატესობით) ბუენოს აირესს მიეკუთვნა და აი, კალათბურთის „ფუძემდებლის“ ჯეიმს ნეისმიტის მშობლიური ქალაქი რომ არ გაენწყენებინათ, მას საერთაშორისო ტურნირის ორგანიზაცია მიანდვეს.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 7 ნოემბერს.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 6 ნოემბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** საბავშვო სკოლა — **16.45 (1);** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში ვატეთა შორის: „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „გალათასარაი“ (თურქეთი) — **20.30 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **21.20 (2).**

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

შაბათს, 8 ნოემბერს საქართველოს ტელევიზია გვთავაზობს საინტერესო სპორტულ პროგრამას ციკლიდან „მექსიკა-86“ (გადაცემა მეორე), რომელიც ფეხბურთელთა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატს ეხება. როგორც საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციამ გვაცნობა, ადრე გამოცხადებული 20 საათისა და 35 წუთის ნაცვლად გადაცემა 18 საათსა და 45 წუთზე დაიწყება.

უცხოეთის ფეხბურთის ვარსკლავები

როსი, ისევ როსი!



იტალიის ახალი ჩემპიონატი პაოლო როსისთვის ისევ ტურნირში დაიწყო (საქმე იმაშია, რომ როსი წლეულს გადავიდა ვერონის „ელასში“, რომელიც წლევანდელი ჩემპიონატის პირველ მატჩს ტურნირში „ტორინოსთან“ ატარებდა გ. ბ.). აქ იგი პირველად 1972 წელს, 16 წლისა მოვიდა. ასე რომ, პაოლო ამჯერადაც ამ ქალაქიდან იღებს სტარტს და თავისი საფეხბურთო კარიერის ახალ ფურცელს შლის. „იუვენტუსი“ უკვე შორსაა, დარჩა უამრავი მოგონება და ოდნავ ნაღველიც, სიყვარულიც და იმედის გაცრუებაც. დღეს როსი და „ელასი“ მჭიდროდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს. ამ გუნდში მას ახალი თაყვანისმცემლები და ახალი თავგადასავლები ელის, მაგრამ „ელასი“ ამ გუნდის მწვრთნელ ბანიოლის სინონიმადაცაა ქცეული. სწორედ ბანიოლი იყო როსის პირველი მწვრთნელი „ა“ სერიაში. 1975-1976 წლების სეზონში ბანიოლიმ, რომელიც მაშინ „კომოს“ ედგა სათავეში, ნოემბრის ერთ მშვენიერ დღეს პეროუჯაში როსი ძირითად შემადგენლობაში დაასახელა. დებიუტი უღიმღამო გამოდგა და ბანიოლიმ პაოლო კარგა ხნით სათადარიგოთა სკამზე დაიბრუნა, მას მისი მოგვარე-ენცო როსი ამჯობინა.

„იუვე“, „კომო“, „ლანეროსი“, „პეროუჯა“, კვლავ „იუვენტუსი“, „მილანი“, „ელასი“, — ეს დამარცხებებისა და აღზევების, ღალატისა და მონანიების, მაგრამ ძირითადად მაინც როსის გოლების ისტორიის ფურცლებია.

ტურინი. „იუვენტუსში“ პაოლო როსი ალოდის რეკომენდაციით მიიღეს. მან პაოლო ფლორენციის ერთ პატარა გუნდში, „ვირტუსში“ აღმოაჩინა. ტურინში როსი მამამისთან, ვიტორიოსთან ერთად ჩავიდა. მორცხვმა და სუსტი აღნაგობის პაოლინომ მინდორზე დიდი ტალანტი გამამჟღავნა. მას ფეხბურთის ბევრმა სპეციალისტმა დაადგა თვალი. ბონიპერტის 36 წლის ალტაფინი ჩააცილებდა და ყოველ ხელსაყრელ მომენტში უმეორებდა: „პრეზიდენტო, როსის დიდი მონაცემები აქვს და იგი ხელიდან არ უნდა გაუშვათ!“. მიუხედავად ამისა, ბონიპერტიმ 1975-1976 წლების ჩემპიონატის დასაწყისში როსი „კომოს“ დაუთმო. ამ გუნდთან დადებულ კონტრაქტში „ბებერი ქალბატონი“ მოითხოვდა, როსის რაც შეიძლება დიდი სათამაშო პრაქტიკა მიეღო. „კომოს“ მაშინდელი მწვრთნელი ბანიოლი კი სულ სხვა აზრისა იყო, რადგან ექვს მატჩში პაოლომ ერთი გოლიც ვერ გაიტანა!

ვიჩენცა. „კომოს“ შემდეგ, როსი ვიჩენცას „ლანეროსიში“ აღმოჩნდა. „ბ“ სერიის ამ გუნდს იგი ერთი წლით ათხოვეს. თურმე მისი ბედის ვარსკვლავიც აქ უნდა ამობრწყინებულიყო ოცდათექვსმეტ მატჩში გატანილი 21 გოლით პაოლომ გუნდის „ა“ სერიაში გადასვლას საგრძნობლად შეუწყო ხელი, ფაბრის ხელმძღვანელობით ვი „ლანეროსის“ თამაში სანახაობრივადაც მიმზიდველი გახდა. როსი უჩვეულო ალმაფრენას განიცდიდა. იგი გუნდის ერთადერთი „მახვილი“ იყო. ამავე დროს იგი ქვეყნის ახალგაზრდულ (21 წლამდე) ნაკრებშიც მიიწვიეს და ბონიპერტიც აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. ვიჩენცა როსისთვის მართლაც რომ ბედნიერების კუნძულია! „ა“ სერიაში გუნდი მეორე ადგილზე გავიდა და წინ მხოლოდ „იუვენტუსი“ გაუშვა. დამცველები როსის ვეღარ უმკლავდებოდნენ. ოცდაათ მატჩში ოცდაოთხი ბურთი გაიტანა. ეს მართლაც შესანიშნავი სეზონი იყო.

1978 წელი, არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატი. ბეარზოტი როსის ნაკრებში იწვევს და კაბრინისთან ერთად მას ამ ჩემპიონატის საუკეთესო დებიუტანტად ასახელებენ. „სკუადრა აძურამ“ მეოთხე ადგილი დაიკავა, თუმცა ჩემპიონობაზე კი ოცნებობდა. ამის შემდეგ „ლანეროსი“ როგორც იტყვიან, ხელიდან წავიდა. მას როსის გოლებმაც (15) ვეღარ უშველა, ეს გუნდი ისევ „ბ“ სერიაში აღმოჩნდა როსი კი — „პეროუჯაში“.

პეროუჯა. როსიმ უარი თქვა „ნაპოლიში“ თამაშზე. ყველაზე ხელსაყრელი პირობები „პეროუჯამ“ შესთავაზა და უკეთესი წინადადების მოლოდინში პაოლო დროებით აქ დარჩა. წინა სეზონი „პეროუჯამ“ კასტანიერის ხელმძღვანელობით კარგად ჩაატარა, მაგრამ ამ წარმატების გამეორება გაუჭირდა. როსის გოლებმა აქაც არ იკმარა: კლუბი ჩემპიონატის ცხრილის შუაში მოექცა და უეფა-ს ტურნირიდანაც მეორე ტურში სალონიკის „არისმა“ გამოთიშა. და აი, მოულოდნელად გამოაშკარავდა ჩემპიონატის მატჩების შედეგებზე კულისებს მიღმა წარმოებული მოლაპარაკებებისა და შეთქმულებების სკანდალური ამბავი. ამ საქმეში იტალიური ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავების გვერდით, როგორებიც იყვნენ ჯორდანო, ალბერტოზი, მანფრედონია და სხვები, როსის სახელიც ფიგურირებდა. თუმცა პაოლო თავს უდანაშაულოდ, გუნდის ხელმძღვანელთა მსხვერპლად თვლიდა: 1980 წლის 29 აპრილს პაოლო როსის საქმე განხილულ იქნა და მას დისკვალიფიკაცია მეცა სამი წლის ვადით, რომელიც მოგვიანებით ორ წლამდე შეუმცირეს. რა იყო ეს? კარიერის დასასრული?

ტურინი. როსი ვიჩენცაში ვარჯიშობს. 1981 წლის სექტემბერში პაოლო და სიმონეტა დაქორწინდნენ. დისკვალიფიკაციის პერიოდში როსი მოსინჯეს „ინტერმა“, „ფიორენტინამ“, „მილანმა“, ბოლოს და ბოლოს ისევ „იუვენტუსმა“. 1981 წლის მარტში ბონიპერტი მოელაპარაკა როსის და პაოლო მეორედ დათანხმდა ჩაეცვა ამ კლუბის შავთეთრი მაისური. იგი იხსენებს: „იუვენტუსში“ დაბრუნებულს განუმეორებელი გრძნობა დამეუფლა. სიყმაწვილე უკან დამრჩა. „იუვენტუსში“ თამაში კი ახალბედისთვის ძალზე რთული საქმეა. გაიხსენეთ გალდერიზი და ბევრი სხვა. „იუვე“ უკვე ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებს ეძებს. ასე იყო თუ ისე, მაინც კმაყოფილი ვიყავი. ვფიქრობდი, რადგან „იუვენტუსი“ მიხმობს, მაშასადამე ჩემი სჯერა და ესე იგი რაღაცას წარმოვადგენ. ტრაპატონი შესანიშნავი მწვრთნელია. მან ისურვა, 1981 წლის ივლისში გუნდის შეკრებაზე ვყოფილიყავი. ისე მომამზადა, თითქოს მთელი ეს დრო არ გამეცდინოს... და მართლაც პირველი ადგილისთვის გააფთრებული ბრძოლის დროს, როგორც კი დისკვალიფიკაციის ვადა გამოვიდა, 1982 წლის 2 მაისს, უდინეში, ძალზე მნიშვნელოვანი მატჩის დროს მინდორზე გამიყვანა. ეს იყო ტრიუმფი: 5:1 ჩვენს სასარგებლოდ, მესამე გოლი მე გავიტანე. ჩემპიონატის ბოლო სამ მატჩში ვითამაშე და „ბებერ ქალბატონს“ ერთგვარად მეც შევუწყე ხელი მეოცედ მოეპოვებინა ჩემპიონის ტიტული.

როსი ესპანეთში, მსოფლიო ჩემპიონატზე მიეძგზავრება. იტალიის სამფეროვანი დროშებით აფერადებულ „ბერნაბეუს“ სტადიონზე მას ექვსი გოლი გააქვს, ეს სულ რაღაც ორი თვის შემდეგ, რაც დისკვალიფიკაციის შემდეგ კვლავ გამოვიდა მინდორზე.

მან კიდევ სამი წელი დაჰყო „იუვენტუსში“. 1984 წელს იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამ გუნდში სულ 24 გოლი გაიტანა, ორჯერ მოიგო ევროპული ტურნირების თასი, ერთხელ — იტალიის თასი და სუპერთასი. მაგრამ შემდეგ გუნდში რაღაც ვერ აეწყო: ტრაპატონის სურდა, როსის ფრთაზე ითამაშა გარემარბად, რათა ცენტრში სამოქმედო არე პლატინისა და ბონეკს. დათმობდა, როსიმ სცადა ამ მსხვერპლის გაღება, მაგრამ ეს როლი აშკარად არ ესადაგება მისი თამაშის სტილს.

მილანი. როსი „მილანში“ გადასვლას არჩევს. თამაში როგორღაც ვერ აეწყო, შედეგიანობაც დაბალია: ჩემპიონატში გატანილი ორი გოლი, ერთიც—იტალიის თასის გათამაშებაში და იგი გასაყიდ მოთამაშეთა სიაში აღმოჩნდა. როსი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონატზე მექსიკაში მიემგზავრება, მაგრამ როგორც მოგვიანებით გამოირკვა, ამჯერად ტურისტად.

ვერონა. იტალიის თასის გათამაშებაში როსის სამი გოლი გააქვს. ესეც მისი სავიზიტო ბარათი! როსი „ელასში“ ყველაფერს თავიდან იწყებს.

„კორიერო დელო სპორტი“.
იტალიურიდან თარგმნა
ბია ბუხნიკაშვილმა.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26.

ჩვენი ინდექსი: 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 05897